



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ადმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
თურქული ფილოლოგია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თურქულ ენასა და ლიტერატურაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ცისანა აბულაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (99532) 320992, (99532) 364185
E-mail: manuscript@iatp.org.ge

ქუთაისი
2008

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

ქვემოთ მოყვანილი კურსები ორიენტირებულია თურქოლოგ ადმოსავლეთმცოდნეთა პროფესიული განათლების გასაღრმავებლად როგორც თეორიულ, ასევე სპეციალურ საგნებში. ზოგადთეორიული დისციპლინები ემსახურება სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას თეორიულ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

მაგისტრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების მიხედვით. იგი უნდა ერკვეოდეს დარგის მომიჯნავე სფეროებში.

2. მოსალოდნელი შედეგები

მაგისტრს უნდა ჰქონდეს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობდეს თურქული ფილოლოგიის სპეციალობას, უნდა შეეძლოს მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, პედაგოგიური, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდოლოგიური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსისა და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

მაგისტრის კომპეტენცია უნდა სწვდებოდეს სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

მაგისტრს უნდა ჰქონდეს უნარი დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

მას უნდა შეეძლოს საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება და საავტორო კონტროლის განხორციელება მათ გამოცემაზე.

3. კურსდამთავრებულთა დასაქმება

თურქული ფილოლოგიის მაგისტრანტები შეიძლება დასაქმდნენ აწსუ თურქული ფილოლოგიის კათედრაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელ რიგ (კერძოდ, ადმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის) ინსტიტუტებში, მუზეუმებში, საშუალო სკოლებსა და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში თურქული ენის მასწავლებლად. მათ შესწევთ უნარი, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე, საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, რადიოსა და ტელევიზიაში, ჟურნალ – გაზეთებსა და გამომცემლობებში, მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ თარჯიმნებად, მათზე დღევანდელ საქართველოში შრომითი ბაზრის

მოთხოვნილებაც არსებობს, რადგან დღეს საქართველოში ბევრი თურქული და ქართულ – თურქული ფირმა არსებობს.

4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	disciplinis dasaxeleba	gamocda	sa auditorio muSaoba							saa Tebis ganawileba kursebisa da semestrebis mixedviT				SeniSvna	
			sul	leqcia	praqtikuli	kreditebis raodenoba					I kursi		II kursi		
						I sem.	II sem.	III sem.	IV sem	sul	I sem	II sem	III sem		IV sem
	Turquli literatura														
1	სპეცკურსი თურქულ ლიტერატურაში	2	66	39	27	5	5	-	-	10	3	2			
2	თურქული პოეტიკა	3	24	12	12	-	-	5	-	5			2		
3	თანამედროვე თურქული ლიტერატურის ჟანრები	3	81	54	27	-	5	5	-	10		3	3		
4	თურქული ეთნოლოგია და კულტურა	3	36	24	12	-	-	5	-	5			3		
	თურქული ენა														
1	თურქული ენის თეორიული გრამატიკა	2	81	54	27	5	5	-	-	10	3	3			
2	სპეცკურსი თურქულ ენაში	1	24	12	12	5		-	-	5	2				
3	თურქული ენათმეცნიერება	3	36	24	12	-		5	-	5			3		
4	დიალექტოლოგია და არეალისტიკა	2	54	27	27	5	5	-	-	10	2	2			
5	ოსმალური ენა	1	36		36	5					3				
6	სათარჯიმნო პრაქტიკუმი	3	24		24	-	-	5	-	5			2		
7	სამაგისტრო ნაშრომი	4	3 st. 75							30	30				
8	საკურსო ნაშრომი	2	3 st. 30				5			5				sT. (II sem.)	
	არჩევითი											2			
2	მეტყველების კულტურა და ეტიკეტი	1	24		24	5				5	2				
3	თურქული ფოლკლორი		24		24	5				5	2				
4	თანამედროვე თურქული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა	2	30		30		5			5		2			
	ოსმალური პალეოგრაფია და დიპლომატიკა		30		30		5			5		2			
5	ისლამური ფუნდამენტალიზმი და თანამედროვე თურქეთი	3	24	12	12			5		5			2		
6	თურქული ლექსიკოლოგია		24	12	12			5		5			2		
	სულ:		645	270	348	30	30	30	30	120	15	12	15		

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.